



აღმოსავლეთის პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა



მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 26 დეკემბერი, 2013 წელი

დრო: 16:00 – 18:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხოზაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა (თანაკოორდინატორი)
2. თამაზ ვაშაკიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი (თანაკოორდინატორი)
3. ვახტანგ ზარქუა - ენერგოეფექტურობის ფონდი
4. ნუგზარ სულამანიძე - კავშირი "ეკოტექი"
5. მურმან მარგველაშვილი - მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
6. გიორგი მუხიგულიშვილი - მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
7. დავით ცისკარიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
8. ანზორ დუნდუა - საქართველოს ენერგო-რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია
9. ნუგზარ უფლისაშვილი - საქართველოს ენერგო-რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია
10. მანანა დევიძე - ფონდი "კავკასიის ეკოლოგია"
11. ნანა მეფარიშვილი - ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის საქართველოს ეროვნული კომიტეტი
12. დავით ჭიპაშვილი - ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"
13. გიორგი აბულაშვილი - ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო

შეხვედრა გახსნა თანაკოორდინატორმა და ჯგუფის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია 25 დეკემბერს გამართული შეხვედრის შესახებ, სადაც დამსწრეებმა განიხილეს პლატფორმის წევრების მიერ მომზადებული პოლიტიკის დოკუმენტების შემდგომი ადვოკატირების საკითხი. მსჯელობის შედეგად გადაწყდა, რომ პლატფორმის სახელით გაიგზავნება ოფიციალური წერილი, რომლითაც შესაბამის სამინისტროებს კიდევ ერთხელ ეცნობებათ პოლიტიკის დოკუმენტების მომზადების შესახებ. წერილში ასევე დაფიქსირებული იქნება თხოვნა იმის თაობაზე, რომ სამინისტროების წარმომადგენლებმა დაიწყონ ამ დოკუმენტებზე მუშაობა.

თანაკოორდინატორის თქმით, მესამე ჯგუფის მიერ მომზადებული პოლიტიკის დოკუმენტები უკვე გადაგზავნილია ენერგეტიკის სამინისტროში და მათგანაც არის შემდგომი თანამშრომლობის მზაობა. სავარაუდოდ ახალი წლიდან უკვე დაიგეგმება შეხვედრა სამინისტროსთან. ენერგოეფექტურობის ფონდის წარმომადგენლის თქმით, საჭიროა ამ პროცესს მიეცეს ოფიციალური მსვლელობა და სამინისტროებმაც ოფიციალურად დააფიქსირონ თავიანთი მოსაზრებები. ჯგუფის წევრებმა მოკლედ გააცნეს ერთმანეთს მათ მიერ მომზადებული პოლიტიკის დოკუმენტების შინაარსი და რეკომენდაციები.

ამის შემდეგ თანაკოორდინატორმა დამსწრეებს აცნობა, რომ 17 იანვარს დაგეგმილია პლატფორმის საერთო კრება, სადაც კენჭისყრით მოხდება სამუშაო ჯგუფების ახალი თანაკოორდინატორების არჩევა მომდევნო 1 წლისთვის.

დასახელდა თანაკოორდინატორების სამი კანდიდატურა:

1. ნინო ჩხოზაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა
2. თამაზ ვაშაკიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
3. ვახტანგ ზარქუა - ენერგოეფექტურობის ფონდი

ორსაათიანი განხილვის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე ბულია